საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №150
2021 წლის 24 ივნისი

ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებით (ვებგვერდი, 30/08/2019, სარეგისტრაციო კოდი 230210000.22.033.017230) დამტკიცებული „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №3):

1. მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. საჭიროების შემთხვევაში, საბაჟო ორგანო განსაზღვრავს მარშრუტს, რომლითაც პირმა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე უნდა გადაზიდოს/გადაიტანოს საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება. ასეთ შემთხვევაში, საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული მარშრუტი მოიცავს:

ა) საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების გადაადგილების მიმართულებას, ან/და

ბ) დანიშნულების საბაჟო კონტროლის ზონას, ან საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ან მასთან შეთანხმებულ ნებისმიერ სხვა ადგილს.“.

2. მე-7 მუხლის 23-ე პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ.ბ) მიეთითება ამ ინსტრუქციის მე-2 მუხლის 1^1 პუნქტის შესაბამისად საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული საქონლის გადაადგილების მარშრუტი იმ შემთხვევაში, როცა ავტოსატრანსპორტო საშუალების საგაბარიტო პარამეტრები ან/და დატვირთვა აღემატება კანონმდებლობით ნებადართულ მაჩვენებლებს და შეუძლებელია ასეთი პარამეტრების კორექტირება ან/და ტვირთი არ ექვემდებარება დაშლა-დანაწილებას გამგზავნ საბაჟო ორგანოში;“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ლაშა ხუციშვილი**